



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

დიდი პალატა

კურტი ავსტრიის წინააღმდეგ

(განაცხადი N [62903/15](#))

სამართლებრივი შეჯამება და
ამონარიდი გადაწყვეტილებიდან

არაოფიციალური თარგმანი

**გთხოვთ განიხილოთ თბილისის სააკველაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს და
ანალიტიკური სამსახურის მიერ.**

სტრასბურგი

15 ივნისი, 2021 წელი



შესავალი

საქმე შეეხება სახელმწიფოს მხრიდან სათანადო დამცავი ღონისძიებების გამოყენებას მაშინ, როდესაც არ არსებობს ოჯახში ძალადობაში ბრალდებული მამის მიერ ბავშვის მკვლელობის რეალური და უშუალო საფრთხე იმის გათვალისწინებით, რომ მას აკრძალული ჰქონდა მეუღლეთა საერთო საცხოვრებელ სახლთან მიახლოება.

ფაქტობრივი გარემოებები

2010 წლის ივნისში, მომჩივანის მიერ სამართალდამცავ ორგანოებში წარმოდგენილი საჩივრების საფუძველზე, რომელშიც ის მეუღლეს (ე.) ცემაში ადანაშაულებდა, ე.-ს წინააღმდეგ გამოიცა დამცავი ორდერი, რომლის საფუძველზეც მას აკრძალა წყვილის საცხოვრებელთან და მომჩივანის მშობლების სახლთან და მიმდებარე ტერიტორიასთან მიახლოება 14 დღის განმავლობაში. როგორც ჩანს, ის დაემორჩილა დამცავ ორდერს. 2011 წლის იანვარში ე.-ს ბრალი წარედგინა მომჩივანის ჯანმრთელობის დაზიანების და მისი ნათესავების მიმართ მუქარის საფუძველზე. ამის შემდეგ, განმცხადებელს სამართალდამცავი ორგანოებისთვის არ მიუძღვრებოდა 2012 წლის 22 მაისამდე, როდესაც მან მოითხოვა განქორწინება და განაცხადა, რომ ე.-მ იგი გააუპატიურა, სცადა მისი დახრჩობა და ორი თვის განმავლობაში ყოველდღიურად ემუქრებოდა. მომჩივანმა ასევე მიუთითა, რომ რამდენჯერმე ე.-მ მათ ორ არასრულწლოვან შვილსაც გააწნა სილა. არასრულწლოვნებმა გამოკითხვისას დაადასტურეს ეს და ასევე მათი დედის ცემის ფაქტებიც. ამავე დღეს ე.-ს წინააღმდეგ გამოიცა ახალი შემაკავებელი და დამცავი ორდერები, რომლებითაც მას აკრძალა წყვილის საცხოვრებელ სახლში, განმცხადებლის მშობლების სახლსა და მიმდებარე ტერიტორიაზე დაბრუნება. იგი გადაიყვანეს დასაკითხად და სახლის გასაღები ჩამოართვეს. პროკურატურამ მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნაც დაიწყო. სამი დღის შემდეგ, ე.-მ საკუთარ ვაჟს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა სკოლის ტერიტორიაზე, შემდეგ კი იმავე იარაღიდან გასროლით სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ბიჭი მიღებული დაზიანებების გამო გარდაიცვალა. განმცხადებელმა წარუმატებლად მოითხოვა ოფიციალური პირების პასუხისმგებლობის დაყენების მიზნით სამართალწარმოების დაწყება იმ საფუძველზე, რომ მკვლელობის დღეს ე. პატიმრობაში უნდა ყოფილიყო.

2019 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ არ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა მის არსებით ნაწილში. განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, საქმე გადაეცა სასამართლოს დიდ პალატას.

სამართლებრივი შეფასება

კონვენციის მე-2 მუხლი (არსებითი ნაწილი)

ზოგადი პრინციპები

პრევენციული ზომების მიღების ვალდებულება იმ პირის სიცოცხლის დასაცავად, რომელსაც საფრთხე ემუქრება სხვა ინდივიდის დასჯადი ქმედების გამო, არის ქმედების და არა - შედეგის ვალდებულება (ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ). შესაბამისად, იმ

შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები იღებენ მათთვის ხელმისაწვდომ სათანადო ზომებს იდენტიფიცირებული რისკის საპასუხოდ, მხოლოდ ის ფაქტი, რომ სასურველი შედეგი მაინც არ დადგა, არ არის თავისთავად საკმარისი სახელმწიფოს მიერ პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების ვალდებულების დარღვევის დადგენისთვის კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში.

მეორე მხრივ, მოცემულ კონტექსტში, რისკის ხასიათის და ღონის შეფასება წარმოადგენდა პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების ვალდებულების განუყოფელ ნაწილს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შესრულების საკითხის განხილვა მოიცავს ორი ფაქტორის შემოწმებას - რამდენად ადეკვატური იყო ეროვნული ორგანოების მიერ ჩატარებული რისკის შეფასების პროცესი და გატარდა თუ არა სათანადო პრევენციული ღონისძიებები.

ოჯახში ძალადობის კონტექსტში, მოპასუხე სახელმწიფოზე დაკისრებული ვალდებულებები შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

1. საჭიროა ოჯახში ძალადობის შესახებ განცხადებაზე დაუყოვნებლად რეაგირება;
2. სახელმწიფომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირებული მსხვერპლის ან მსხვერპლთა სიცოცხლე რეალური და უშუალო საფრთხის წინაშე („real and immediate risk to life“). უნდა მოხდეს რისკების ავტონომიური, პროაქტიული და ამომწურავი შეფასება;
3. თუკი შეფასების შედეგად გამოვლინდება საფრთხე, ამოქმედდება სახელმწიფოს მიერ ოპერატიული პრევენციული ღონისძიებების გატარების ვალდებულება. აღნიშნული ზომები უნდა იყოს ადეკვატური და რისკის პროპორციული.

ევროპულმა სასამართლომ თითოეული ზემოაღნიშნული ფაქტორი დეტალურად მიმოიხილა, რასაც უცვლელად გთავაზობთ:

„ ...

(ii) ოჯახური ძალადობის შესახებ განცხადებაზე დაუყოვნებლივ რეაგირების ვალდებულება

165. დასაწყისისთვის, ევროპული სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოებს მოეთხოვება ოჯახური ძალადობის შესახებ განცხადებაზე დაუყოვნებლივ რეაგირება (იხ. *ტალპისი იტალიის წინააღმდეგ*, § 114). როდესაც დაადგენს, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე სახელმწიფო ორგანომ დაუყოვნებლივ არ იმოქმედა, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს უმოქმედობა მსხვერპლის საჩივარს ეფექტიანობას უკარგავს და წარმოშობს დაუსჯელობის საერთო ფონს, რომელიც ძალადობის მსგავსი ფაქტების მიმართ შემწყნარებლურია (იხ. *ჰალიმე კილიჩი თურქეთის წინააღმდეგ*, no. 63034/11, § 99, 28 ივნისი 2016, და *ტალპისი*, ციტირებული, § 117).

166. გარდა ამისა, ევროპული სასამართლო ადასტურებს, რომ სახელმწიფოს მოეთხოვება განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა, როდესაც საქმე ეხება ოჯახში ძალადობას (იხ. *M.G. თურქეთის წინააღმდეგ*, ციტირებული, § 93; *ვოლოდინა*, ციტირებული, § 92; და *ბარსოვა რუსეთის წინააღმდეგ*, no. 20289/10, § 35, 22 ოქტომბერი 2019).

(iii) საფრთხის შეფასებასთან დაკავშირებული ვალდებულებები

167. ევროპული სასამართლოსთვის ხელმისაწვდომი შედარებით-სამართლებრივი მასალის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ გამოკვლეულ თითოეულ სახელმწიფოში ტარდება საფრთხის შეფასების პროცედურა, რათა დადგინდეს, დგას თუ არა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი დამატებით ძალადობის საფრთხის წინაშე. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სტამბულის კონვენციის 51-ე მუხლის თანახმად, ლეტალობის რისკი, სიტუაციის სერიოზულობა და ძალადობის განმეორების რისკი წარმოადგენს ოჯახში ძალადობის შემთხვევათა პრევენციის უმთავრეს ელემენტებს ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ GREVIO¹-ს თანახმად, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა ჩაატარონ მსხვერპლებთან დაკავშირებული საფრთხის შეფასება ოჯახში ძალადობის შესახებ განცხადების მიღებისთანავე, საუკეთესო შემთხვევაში, სტანდარტიზებული, საერთაშორისო დონეზე აღიარებული, კვლევებზე დაფუძნებული მიდგომებით და წინასწარ განსაზღვრული კითხვებით, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებმა სისტემატურად უნდა დასვან და მათზე პასუხებიც მოიპოვონ. შექმნილმა სისტემამ სამართალდამცავ ორგანოებს უნდა მიაწოდოს ნათელი სახელმძღვანელო მითითებები და კრიტერიუმები სენსიტიურ სიტუაციაში მოქმედებასა და ჩართვასთან დაკავშირებით

168. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მიდგომა რელევანტურია ოჯახში ძალადობის კონტექსტში, წევრი სახელმწიფოების კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად ნაკისრ პოზიტიურ ვალდებულებებთან მიმართებით. სასამართლო აღნიშნავს, რომ იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეძლოს დადგენა, არსებობს თუ არა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიმართ რეალური და უშუალო საფრთხე, შესაბამის ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, ჩაატარონ სიცოცხლისთვის საშიში საფრთხის (რისკის) შეფასება, რომელიც ავტონომიური, პროაქტიული და ამომწურავი უნდა იყოს.

169. ტერმინები „ავტონომიური“ და „პროაქტიული“ მიუთითებს მოთხოვნაზე, რომ უფლებამოსილი ორგანოების რეაგირება არ უნდა ეფუძნებოდეს საფრთხის მხოლოდ მსხვერპლისეულ აღქმას, არამედ ეს უკანასკნელი უნდა შეავსოს ორგანოების მიერ ჩატარებულმა შეფასებამ. მართლაც, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქმის განმხილველ ორგანოებს მოეთხოვებათ სათანადო კითხვების დასმა, რათა მიიღონ საჭირო ინფორმაცია სრულად, მათ შორის, სახელმწიფო ინსტიტუტებიდან, ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ მსხვერპლისგან მოითხოვონ ყველა რელევანტური დეტალის შესახებ ინფორმაცია (შეადარეთ *ვალერიუენე ლიეტუვას წინააღმდეგ*, no. 33234/07, § 69, 26 მარტი 2013, რომელშიც ევროპულმა

¹ GREVIO (Group of Experts on Action against Violence against Women and Domestic Violence) - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მოქმედების შესახებ ექსპერტთა ჯგუფი, ევროპის საბჭო.

სასამართლომ მიუთითა ფსიქოლოგიურ გავლენაზე, როგორც ოჯახში ძალადობის მნიშვნელოვან ასპექტზე, და T.M. და C.M. მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ, no. 26608/11, § 46, 28 იანვარი 2014, სადაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „პოლიციის ვალდებულებაა, თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს, არსებობს თუ არა ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით მოქმედების საჭიროება, ზოგადად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მოწყვლადობიდან გამომდინარე“).

170. ტალპისის საქმეში ევროპულმა სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიანიჭა თავად მსხვერპლისეულ აღქმას (მაგალითისთვის, განცხადების უკან გახმოზა, ჩვენების შეცვლა, წარსულში ძალადობის უარყოფა და მსხვერპლის მოძალადესთან დაბრუნება). ოპუზის საქმეში, ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ „მას შემდეგ, რაც არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომი გახდება, სახელმწიფო ორგანოები ვერ დაეყრდნობიან მსხვერპლის დამოკიდებულებას, რათა გაამართლონ საკუთარი უუნარობა, მიეღოთ სათანადო ზომები, რომლებიც თავიდან აიცილებდა მოძალადის მხრიდან მსხვერპლის ფიზიკურ ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული მუქარის რეალობად ქცევას“. შესაბამისად, საფრთხის ნებისმიერი შეფასება ან გასატარებელი ღონისძიებების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ მსხვერპლის განცხადებებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლო რელევანტურად თვლის მის წინაშე არსებული საფრთხის მსხვერპლისეულ აღქმას და საწყის ეტაპზე საჭიროდ მიიჩნევს სახელმწიფოს მხრიდან ამ დამოკიდებულების მხედველობაში მიღებას (შეადარეთ ბალშანი რუმინეთის წინააღმდეგ, no. 49645/09, § 62, 23 მაისი 2017; ტალპისი, ციტირებულია, § 111; და ჰალიმე კილიჩი, ციტირებულია, § 93), ეს არ ათავისუფლებს სახელმწიფო ორგანოებს ვალდებულებისგან, პროაქტიულად შეაგროვონ და შეაფასონ ინფორმაცია საქმეში არსებული რელევანტური რისკ-ფაქტორების და ელემენტების შესახებ, რამდენადაც სახელმწიფო ვალდებულია, ოჯახში ძალადობის შესახებ მიმართვები საკუთარი ინიციატივით გამოიძიოს.

171. საფრთხის შეფასების კონტექსტში, „ამომწურავობა“ ის ელემენტია, რომელიც ნებისმიერ ოფიციალურ გამოძიებას უნდა ახასიათებდეს და ის თანაბრად რელევანტურია ოჯახში ძალადობის საქმეებშიც. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ კარგად გადამზადებული სამართალდამცველების შეფასებები თითოეულ საქმეში მნიშვნელოვანია, თუმცა სტანდარტიზებული სიების (checklist) გამოყენება - რომლებიც მოიცავს სპეციფიურ რისკ-ფაქტორებს და შეიქმნა სიღრმისეული კრიმინოლოგიური კვლევის და ოჯახში ძალადობის საქმეების შესახებ საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე - გაზრდის სახელმწიფოს მიერ ჩატარებული საფრთხის შეფასების პროცესის ამომწურავობას შედარებით-სამართლებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ გამოკვლეული წევრი სახელმწიფოების უმრავლესობაში იყენებენ საფრთხის შეფასების სტანდარტიზებულ ინსტრუმენტებს.

172. ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მომუშავე ორგანოების მუდმივი გადამზადების და მათი ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობას, განსაკუთრებით, საფრთხის შეფასების საშუალებების ნაწილში, რათა უფლებამოსილმა ორგანოებმა შეძლონ ოჯახში ძალადობის დინამიკის აღქმა, რაც მათ საშუალებას მისცემს,

უკეთ განსაჯონ და შეაფასონ ნებისმიერი არსებული რისკი, სათანადოდ მოახდინონ რეაგირება და უზრუნველყონ სწრაფი დაცვა (შეადარეთ სტამბულის კონვენციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტს და GREVIO-ს პოზიციას).

173. გარდა ამისა, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ როდესაც ოჯახში ძალადობა რამდენიმე ადამიანზე ახდენს გავლენას, პირდაპირ თუ ირიბად, საფრთხის ნებისმიერი შეფასება მოწოდებული უნდა იყოს ყველა პოტენციური მსხვერპლის სისტემატურად იდენტიფიცირებისა და მათთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებისკენ ასეთი შეფასების განხორციელებისას სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს, რომ თითოეულ მათგანს განსხვავებული ღონის საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს.

174. ოჯახში ძალადობის კონტექსტში სამართალდამცავების და პროკურატურის ჩართულობის გადაუდებლობის და ჩართულ უფლებამოსილ ინსტიტუტებს შორის რელევანტური ინფორმაციის მუდმივი მიმოცვლის აუცილებლობის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო მნიშვნელოვნად თვლის რისკის შეფასების პროცესის საბაზისო დონეზე დოკუმენტირებას. სასამართლო იმეორებს, რომ რისკის შეფასება მიზნად ისახავს, კომპეტენტურ ორგანოებს მისცეს საშუალება, მართონ იდენტიფიცირებული რისკი და უზრუნველყონ მსხვერპლის კოორდინირებული დაცვა და მხარდაჭერა. ეს გულისხმობს, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა რისკებთან და კოორდინირებულ მხარდაჭერასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა გაუზიარონ ნებისმიერ რელევანტურ აქტორს, რომელიც მუდმივ შემხებლობაშია საფრთხის წინაშე მყოფ პირთან, მათ შორის, ბავშვების შემთხვევაში - მასწავლებლებთან ევროპული სასამართლოს პოზიციის თანახმად, სახელმწიფო ორგანოებმა მსხვერპლს უნდა შეატყობინონ რისკის შეფასების შედეგი და, საჭიროების შემთხვევაში, გაუწიონ კონსულტაცია და მისცენ მითითებები ხელმისაწვდომი სამართლებრივი და ოპერატიული დამცავი ღონისძიებების შესახებ.

175. რაც შეეხება *ოსმანის* ტესტში ტერმინის „უშუალო“ განმარტებას, ევროპული სასამართლო თვლის, რომ უშუალობის სტანდარტის გამოყენებისას ოჯახში ძალადობის საქმეებში, მხედველობაში უნდა მივიღოთ ასეთი შემთხვევების განსაკუთრებული მახასიათებლები და ის ასპექტები, რომლებიც ოჯახში ძალადობას განასხვავებს *ოსმანის* საქმეში აღწერილი ინციდენტზე დაფუძნებული შემთხვევისგან. ევროპული სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობის თანმიმდევრული ციკლები - ხშირ შემთხვევაში, გარკვეულ პერიოდში მზარდი სიხშირით, ინტენსივობით და საფრთხით - წარმოადგენს ამ კონტექსტისთვის დამახასიათებელ ასპექტს სტამბულის კონვენციის 52-ე მუხლის განმარტებითი ბარათი განმარტავს, რომ ამ ნორმაში მითითებული „უშუალო საფრთხე“ მიუთითებს ოჯახური ძალადობის ნებისმიერ შემთხვევაზე, რომლის დროსაც ზიანი გარდაუვალია ან ის უკვე დადგა და მოსალოდნელია მისი განმეორება. სასამართლომ არაერთ სხვა საქმეშიც შენიშნა, რომ მოძალადე, რომელსაც წარსულშიც ჩაუდენია ოჯახში ძალადობა, წარმოადგენს მნიშვნელოვანი საფრთხის წყაროს და შესაძლოა, სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის საფრთხის წყაროს კი იყოს (იხ., მაგალითისთვის, *ოპუზი*, § 134; *ერემია მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ*, no. 3564/11, § 59, 28 მაისი 2013; *მუდრიჩი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ*, no. 74839/10, § 51, 16 ივლისი 2013; და *B. მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ*,

no. 61382/09, §§ 52-53, 16 ივლისი 2013). დღეისათვის ოჯახში ძალადობის დინამიკასთან დაკავშირებულ ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით, მოძალადის ქცევა შეიძლება უფრო განჭვრეტადი გახდეს ძალადობის ცალსახა ესკალაციის შემთხვევებში. ხსენებული ზოგადი ცოდნა და ოჯახში ძალადობის სიღრმისეული კვლევა ეროვნულმა ორგანოებმა სათანადოდ უნდა გამოიყენონ ძალადობის ესკალაციის რისკის შეფასებისას, მათ შორის, შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენების შემდეგაც.

176. ტერმინს „უშუალო“ არ აქვს ზუსტი განმარტება. მაგალითისთვის, *ოპუზის* საქმეში ევროპულმა სასამართლომ საფრთხის უშუალოებასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ სახელმწიფოს შეეძლო განმცხადებლის დედასთან დაკავშირებული სიცოცხლისთვის საშიში საფრთხის წინასწარ განჭვრეტა ძალადობის ესკალაციიდან გამომდინარე, რაც ცნობილი იყო შესაბამისი ორგანოებისთვის და საკმარისად სერიოზული იყო პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად. იმის გათვალისწინებით, რომ ურთიერთობის განმავლობაში სახეზე იყო ძალადობის ხანგრძლივი ისტორია (6 გაცხადებული ეპიზოდი) და მეუღლე განმცხადებელს მუდმივად ავიწროებდა, მის საკუთრებასთან ახლოს მოძრაობდა ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის თანხლებით, ევროპულმა სასამართლომ შეფასებით „აშკარა“ იყო, რომ არსებობდა მოძალადის მიერ განმეორებითი ძალადობის განხორციელების რისკი. შესაბამისად, სიცოცხლისთვის საშიში თავდასხმის საფრთხე იყო გარდაუვალი და განჭვრეტადი. ტალპისის საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ შემთხვევის დამეს პოლიციას ორჯერ მოუწია ჩარევა განმცხადებლის მეუღლის ქმედებების გამო, ასევე, მისი სიმთვრალიდან და პოლიციის მხრიდან ორჯერ ჩარევიდან გამომდინარე (ძალადობის ორი თანმიმდევრული ეპიზოდი იმავე დამეს, როდესაც პოლიციის ჩართვა გახდა საჭირო), სახელმწიფოს „უნდა სცოდნოდა, რომ ის წარმოადგენდა რეალურ საფრთხეს განმცხადებლისთვის, რომლის იმწუთიერი განხორციელების რისკის გამორიცხვაც შეუძლებელი იყო“ (იქვე, § 122). ამ საკითხზე საკუთარ პრაქტიკაში ევროპულმა სასამართლომ უკვე გამოიყენა „უშუალო საფრთხის“ ცნება უფრო მოქნილად, ვიდრე ეს *ოსმანის* საქმის ტიპის შემთხვევაში ხდებოდა, რამდენადაც მხედველობაში მიიღო ოჯახური ძალადობის საქმეებისთვის დამახასიათებელი ძალადობის ესკალაციის ტრაექტორია, მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმის ზუსტი დროის და ადგილის წინასწარ განსაზღვრა მოცემულ საქმეში შეუძლებელი იყო. თუმცა, ევროპული სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოებს არ უნდა დაეკისროს მტკიცების შეუძლებელი ან არაპროპორციული ტვირთი (იხ. *ოსმანი*, ციტირებული, § 116).

(iv) ოპერატიული ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებული ვალდებულებები

177. ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ თუკი სახელმწიფო დაადგენს იდენტიფიცირებული ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ სიცოცხლისთვის საშიში რეალური და უშუალო საფრთხის არსებობას, ეს გამოიწვევს მისი პოზიტიური ვალდებულების ამოქმედებას - გაატაროს ოპერატიული ღონისძიებები.

178. ასეთი ოპერატიული პრევენციული და დამცავი ღონისძიებები მიზნად ისახავს საფრთხის შემცველი სიტუაციების თავიდან არიდებას მაქსიმალურად სწრაფად (შეადარეთ, *ტალპისი*, ციტირებულია, § 114). არაერთ საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც სახელმწიფო ორგანოები სრულიად პასიურნი არ იყვნენ, მათ მაინც ვერ მოახერხეს კონვენციის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, თუკი მათ მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ შეაჩერა სამართალდამრღვევი მსხვერპლის მიმართ ძალადობის კიდევ ერთხელ ჩადენისგან (შეადარეთ, *კოლოდინა*, ციტირებული, § 86).

179. ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე რეაგირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების კრიტიკულ მომენტში, სამართლებრივი და პრაქტიკული თვალსაზრისით სათანადო ოპერატიული ღონისძიებების ხელმისაწვდომობის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ადეკვატურობას („მათ ხელთ არსებული მექანიზმების“ ასპექტი *ოსმანის* ტესტიდან). სხვაგვარად რომ ითქვას, სამართლებრივი და ოპერატიული ღონისძიებების შესაბამისი ორგანოებისთვის ხელმისაწვდომმა არსენალმა სახელმწიფოს უნდა შესთავაზოს შეფასებული (სიცოცხლისთვის საშიში) საფრთხის დონის შესაბამისი და პროპორციული ღონისძიებების გარკვეული არჩევანი. ზოგადი გადმოსახედიდან, ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ სამართლებრივი ჩარჩო იყოს ადეკვატური კერძო პირისგან მომდინარე საფრთხისგან დასაცავად ნებისმიერ შემთხვევაში (შეადარეთ, *ტალპისი*, ციტირებულია, § 100).

180. ევროპული სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ რისკის მართვის გეგმები და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის კოორდინირებული სერვისები პრაქტიკაში საკმაოდ ღირებული ინსტრუმენტებია სახელმწიფოს მიერ სათანადო პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით მას შემდეგ, რაც დადგინება რისკის არსებობა. ეს მოიცავს რელევანტურ სუბიექტებს შორის ინფორმაციის ინტენსიურ მიმოცვლასაც. თუკი შემთხვევა შეეხება ბავშვებს, ან ისინი საფრთხის წინაშე იმყოფებიან, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ეცნობოს ბავშვთა დაცვაზე პასუხისმგებელ ორგანოებს, ასევე – სკოლებს ან/და ბავშვებზე ზრუნვის დაწესებულებებს (იხ. სტამბულის კონვენციის 51-ე მუხლი და GREVIO-ს პოზიცია). სათანადო პრევენციული რეაგირება ხშირად მოითხოვს რამდენიმე ორგანოს შორის კოორდინაციას

181. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სასურველია მოძალადეებისთვის ქცევის გამოსწორებაზე ორიენტირებული პროგრამების გავლა. სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ გამოკვლულთაგან შვიდ წევრ სახელმწიფოში არსებობს სპეციალური ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ოჯახში ძალადობაში მსჯავრდებულთათვის არამძალდობრივი ქცევის შესახებ სწავლებას. სტამბულის კონვენციის მე-16 მუხლი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, განავითარონ პრევენციული ინტერვენციის და ქცევის გამოსწორებაზე ორიენტირებული პროგრამები, რათა დაეხმარონ მოძალადეებს დამოკიდებულების და ქცევის შეცვლაში, მომავალში ოჯახში ძალადობის შემთხვევების თავიდან აცილებისთვის.

182. შემდგომ ეტაპზე, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოსაყენებელი ოპერატიული ღონისძიების შერჩევისას სახელმწიფო ორგანოებს აუცილებლად მოუწევთ - როგორც ზოგადი

პოლიტიკის, ისე ინდივიდუალურ დონეზე - ფრთხილად აწონ-დაწონონ განსახილველი შეპირისპირებული უფლებები და სხვა რელევანტური შეზღუდვები. ევროპული სასამართლო ოჯახში ძალადობის საქმეებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმპერატიული მოთხოვნა მსხვერპლის სიცოცხლის და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის დაცვა (იხ., *ოპუზი*, § 147, *ტალპისი* § 123 ...). ამავდროულად, საჭიროა, რომ დანაშაულის პრევენციის და კონტროლის უფლებამოსილება პოლიციამ იმგვარად შეასრულოს, რომ სრულად დაიცვას შესაბამისი პროცედურები და სხვა გარანტიები, რომლებიც ლეგიტიმურად ზღუდავს მათი მოქმედების ფარგლებს - მათ შორის გარანტიები, რომლებიც კონვენციის მე-5 და მე-8 მუხლებითაა განმტკიცებული (*შეადარეთ, ოსმანი*, § 116 და *ოპუზი*, § 129).

183. რაც შეეხება პრევენციულ ოპერატიულ ზომებს, რომელთა გატარების საჭიროებაც, შესაძლოა, კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე დადგეს, ევროპული სასამართლო თავიდანვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ასეთი ღონისძიება, იმდენად, რამდენადაც მას, შესაძლებელია, გავლენა ჰქონდეს სავარაუდო დამნაშავეზე, უნდა შეირჩეს, ერთი მხრივ, სიცოცხლისთვის შექმნილ რისკზე ადეკვატურად და ეფექტიანად რეაგირებისთვის, მეორე მხრივ კი, ნებისმიერი ასეთი ღონისძიება თანხვედრაში უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონვენციის შესაბამისად ნაკისრ ვალდებულებებთან. ზოგადად, დამცავი პრევენციული ღონისძიებების კონტექსტში, გარდაუვალია რისკი იმისა, რომ აუცილებელი გახდეს სახელმწიფოს მხრიდან სავარაუდო დამნაშავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სიცოცხლის და სხვა უფლებათა დასაცავად და მსხვერპლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედებების აღსაკვეთად. შეფასებული რისკის ბუნება და სიმძიმე ყოველთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ნებისმიერი დამცავი და პრევენციული ღონისძიების პროპორციულობის დადგენისას, როგორც კონვენციის მე-8 მუხლის, ისე - მე-4 ოქმის მე-2 მუხლის ფარგლებში, რომელიც გადაადგილების თავისუფლებას განამტკიცებს. თუმცა, რაც შეეხება ღონისძიებებს, რომლებიც მოიცავს თავისუფლების აღკვეთას, კონვენციის მე-5 მუხლი ადგენს კონკრეტულ შეზღუდვებს, რომლებსაც ევროპული სასამართლო ქვემოთ განიხილავს.

184. პირველ ყოვლისა, ევროპული სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ იმისათვის, რომ თავისუფლების აღკვეთა დაშვებული იყოს კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად, ნებისმიერი ასეთი აღკვეთა უნდა იყოს კანონიერი ეროვნული სამართლის თანახმად და ამავდროულად, უნდა შეესაბამებოდეს მე-5 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ დაკავების ამომწურავად განსაზღვრულ საფუძვლებს. ამ კონტექსტშიც კი, სიცოცხლის დაცვის პოზიტიურმა ვალდებულებამ კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, შეიძლება მოიცვას გარკვეული მოთხოვნები ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოსთან დაკავშირებით, როდესაც საქმე ეხება აუცილებელი ღონისძიებების გატარებას კონკრეტულ სიტუაციებში, საჭიროებიდან გამომდინარე. თუმცა, ამავდროულად, ნებისმიერმა ღონისძიებამ, რომელიც თავისუფლების აღკვეთას მოიცავს, უნდა დააკმაყოფილოს როგორც შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის, ისე - კონვენციის მე-5 მუხლით და მასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკით გათვალისწინებული სპეციფიური მოთხოვნები.

185. ამ მიმართულებით, პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-5(1-ბ) მუხლის მიზნებისთვის, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს თავისუფლების აღკვეთას სასამართლოს კანონიერი ბრძანების შეუსრულებლობის გამო ან კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთვის, ევროპული სასამართლო მუდმივად ადგენს, რომ პირის ვალდებულება - არ ჩაიდინოს დანაშაული მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს „ზუსტად და კონკრეტულად“, როდესაც მისი განხორციელების ადგილი და უშუალო ჩადენის დრო, ასევე პოტენციური მსხვერპლის ვინაობა ან მსხვერპლთა წრე საკმარისად არის დაზუსტებული. რაც შეეხება რაიმე ქმედების ჩადენისგან თავის შეკავების ვალდებულებას, რომელიც განსხვავდება კონკრეტული ქმედების ჩადენის ვალდებულებისგან, პირის მიერ ამ ვალდებულების დარღვევის შესახებ დასკვნის გაკეთებამდე აუცილებელია იმის დადგენა, რომ შესაბამისმა პირმა იცოდა იმ კონკრეტული მოქმედების შესახებ, რომლის განხორციელებისგანაც თავი უნდა შეეკავებინა, და მან გამოხატა ნება, თავი არ შეეკავებინა მისი ჩადენისგან (იხ. *ოსტენფორდი გერმანიის წინააღმდეგ*, no. 15598/08, §§ 93-94, 7 მარტი 2013). უფრო კონკრეტულად, ევროპული სასამართლოს მსჯელობის თანახმად, პირის ვალდებულება, არ ჩაიდინოს დანაშაულებრივი ქმედება უახლოეს მომავალში, ვერ ჩაითვლება საკმარისად კონკრეტულად და ზუსტად, თუკი სახეზე არ არის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც პირმა არ შეასრულა (*S., V. და A. დანიის წინააღმდეგ* [GC], nos. 35553/12 and 2 others, § 83, 22 ოქტომბერი 2018).

186. მეორე საკითხი - ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-5(1-გ) ქვეპუნქტი შეეხება პირის დაკავებას იმ მიზნით, რომ ის წარუდგინონ კომპეტენტურ უწყებას, როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი იმის შესახებ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული ან არსებობს მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიმალვის თავიდან აცილების დასაბუთებული აუცილებლობა. რაც შეეხება ამ ნორმის მეორე ნაწილს, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი მოიცავს დაკავების ცალკეულ საფუძველს, დამოუკიდებლად „გონივრული ეჭვისგან, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა“. შესაბამისად, ის გამოიყენება პრევენციული დაკავების დროს სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესის მიღმა (იხ. *S., V. და A. დანიის წინააღმდეგ* [GC], ციტირებული, §§ 114-16). თუმცა, კონვენციის მე-5(1-გ) მუხლის ამ ნაწილის კონტექსტშიც კი, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს ნორმები დასაშვებად არ ცნობს ზოგადი პრევენციის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია იმ ინდივიდების წინააღმდეგ, ვინც სახელმწიფო ორგანოების მხრიდან აღიქმება, როგორც საშიში ან უკანონო ქმედების განხორციელებისკენ მიდრეკილი. დაკავების ეს საფუძველი ხელშემკვრელ სახელმწიფოს ანიჭებს მხოლოდ და მხოლოდ ზუსტი და კონკრეტული დანაშაულის თავიდან არიდების საშუალებას, რაც უფრო კონკრეტულად ეხება დანაშაულის ჩადენის დროს, ადგილს და სავარაუდო მსხვერპლთა წრეს. იმისათვის, რომ დაკავება გამართლებული იყოს კონვენციის მე-5(1-გ) მუხლის შესაბამისად, ეროვნულმა ორგანოებმა დამაჯერებლად უნდა დაამტკიცონ, რომ განსახილველი პირი, მაღალი ალბათობით, იქნებოდა კონკრეტული და ზუსტი დანაშაულის ამსრულებელი, თუკი აღნიშნული დანაშაულის პრევენცია არ მოხდებოდა მისი დაკავების საფუძველზე (*S., V. და A. დანიის წინააღმდეგ* [GC], ციტირებული, §§ 89 და 91). კონვენციის მე-5(1-ბ) მუხლის და მე-5(1-გ) მუხლის მეორე ნაწილის (როდესაც დაკავება აუცილებელია პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად) შესახებ გადაწყვეტილებებში ევროპულმა სასამართლომ

პრევენციული მიზნით დაკავება მიზანშეწონილად მიიჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ხანგრძლივობა მოიცავს დროის ძალიან მცირე პერიოდს (ოთხი საათი *ოსტენფორდის* საქმეში (ციტირებული, § 75) და რვა საათი საქმეში *S., V. და A. დანიის წინააღმდეგ*, §§ 134 და 137)).

187. მესამე საკითხი - რაც შეეხება მე-5(1-გ) მუხლის პირველ ნაწილს, რომელიც არეგულირებს წინასწარ დაკავებას, ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ ამ ნორმის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის კონტექსტში, რომელიც უკვე ჩადენილ მართლწინააღმდეგობას ეხება. ის დასაშვებად მიიჩნევს პირის დაკავებას მისი მართლმსაჯულების კომპეტენტური ორგანოს წინაშე წარსადგენად, დანაშაულის ჩადენის შესახებ გონივრული ეჭვის არსებობისას (იხ. *შაჰინ ალპაი თურქეთის წინააღმდეგ*, no. 16538/17, § 103, 20 მარტი 2018; *იეჩიუსი ლიეტუვას წინააღმდეგ*, no. 34578/97, § 50, ECHR 2000-IX; და *შვაბე და M.G. გერმანიის წინააღმდეგ*, nos. 8080/08 და 8577/08, § 72, ECHR 2011 (ამონარიდები)). შესაბამისად, წინასწარ დაკავებას აქვს პრევენციული ღონისძიების სახით მოქმედების უნარი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს გამართლებულია გონივრული ეჭვის არსებობით იმის შესახებ, რომ ჩადენილ მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება. შესაბამისად, ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენცია შეიძლება იყოს ამგვარი დაკავების მეორეული ეფექტი, დანაშაულის ხელახლა ჩადენის რისკი კი შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული, როგორც პირის დაკავების ან პატიმრობის გახანგრძლივების საფუძვლების შემოწმების ერთ-ერთი ელემენტი, ყოველთვის იმ პირობით, რომ კვლავაც არსებობს გონივრული ეჭვი იმის შესახებ, რომ დანაშაული უკვე ჩადენილია. ამ კუთხით, ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ გონივრული ეჭვის არსებობა არის კანონიერი წინასწარი პატიმრობის *sine qua non* წინაპირობა, გონივრულ ეჭვთან ერთად სხვა „რელევანტური და საკმარისი“ მიზეზების დამატებით არსებობის მოთხოვნა კი გამოიყენება პირის დაკავების შესახებ პირველი განჩინების მიღებისთანავე, ან დაკავებიდან „უმაღლე“ (იხ. *ბუზაჯი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ* [GC], no. 23755/07, §§ 92 და 102, 5 ივლისი 2016). ევროპული სასამართლო ასევე იმეორებს, რომ მისმა სასამართლო პრაქტიკამ წარმოაჩინა ამგვარი მიზეზების ძირითადი, მისაღები კატეგორიები, რომლებიც მოიცავს დაკავებულის მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის რისკს მისი გათავისუფლების შემთხვევაში. ამ საკითხზე სასამართლომ მიუთითა, რომ დანაშაულის ხელახლა ჩადენის საფრთხე უნდა იყოს სარწმუნო, გატარებული ღონისძიება კი - სათანადო, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე და განსაკუთრებით, განსახილველი პირის წარსულის და მისი პიროვნების გათვალისწინებით (იხ. *Clooth ბელგიის წინააღმდეგ*, 12 დეკემბერი 1991, § 40, Series A no. 225).

188. რაც შეეხება პატიმრობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებებს, კონვენციის მე-5 (1-გ) მუხლის შესაბამისად, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ პატიმრობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც წმინდად პრევენციული ღონისძიება; პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების საჭიროების დასადგენად ჩატარებული რისკის შეფასების ნებისმიერი ფაქტი და შედეგი შეიძლება მხედველობაში მიღებულ იქნას ახალი დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასებისას (წარსული და სიცოცხლისთვის საშიშ რისკთან დაკავშირებული პროგნოზი). დამატებით, როგორც უკვე აღინიშნა, თავისუფლების ამ ტიპის

შეზღუდვები აუცილებლად საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში სათანადო საფუძვლის არსებობას. ნებისმიერ შემთხვევაში, პატიმრობის გამოსაყენებლად საჭირო ეროვნული სტანდარტის დაუკმაყოფილებლობა არ ათავისუფლებს სახელმწიფო ორგანოებს სხვა, ნაკლებად მზლუდავი და დადგენილი რისკის დონის შესაფერისი რეაგირების ღონისძიებების გატარების ვალდებულებისგან, მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

189. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5(1) მუხლით გათვალისწინებული პატიმრობის დასაშვები საფუძვლები, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, რელევანტური იყოს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების რელევანტურობის შეფასებისას ოჯახში ძალადობის კონტექსტში, განსაკუთრებით კი მე-5(1) მუხლის „ე“ ქვეპუნქტი. თუმცა, განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და წარმოდგენილი საჩივრიდან გამომდინარე, საჭირო არ არის ამ საკითხის დეტალური განხილვა.

(v) სახელმწიფო ორგანოებზე დაკისრებული ვალდებულებების შეჯამება ოჯახში ძალადობის საქმეების კონტექსტში

190. შეჯამების სახით, ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ სახელმწიფო ორგანოებს მოეთხოვებათ ოჯახში ძალადობის შესახებ განცხადებებზე დაუყოვნებლივ რეაგირება (იხ. პარაგრაფი 165). შესაბამისმა ორგანოებმა - ავტონომიური, პროაქტიული და ამომწურავი რისკის შეფასების საფუძველზე - უნდა დაადგინონ, დგას თუ არა ოჯახში ძალადობის ერთი ან რამდენიმე იდენტიფიცირებული მსხვერპლის სიცოცხლე საფრთხის წინაშე (იხ. 168 et seq.). საფრთხის ნამდვილობის და უშუალოების შეფასებისას მხედველობაში სათანადოდ უნდა იქნას მიღებული ოჯახში ძალადობის საქმეების განსაკუთრებული კონტექსტი (იხ. პარაგრაფი 164). თუკი რისკის შეფასების შედეგად დადგინდება, რომ მსხვერპლის სიცოცხლეს ემუქრება რეალური და უშუალო საფრთხე, ამოქმედდება სახელმწიფო ორგანოების ვალდებულება - გაატარონ პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები უნდა იყოს შეფასებული რისკის დონის ადეკვატური და პროპორციული (იხ. პარაგრაფები 177 et seq.).

2. ზემოხსენებული პრინციპების განსახილველი საქმისთვის მისადაგება

(ა) სახელმწიფო ორგანოებმა დაუყოვნებლივ მოახდინეს თუ არა რეაგირება ოჯახში ძალადობის შესახებ საჩივარზე

191. თავდაპირველად, ევროპული სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში, მის მიერ განხილული ოჯახში და გენდერის ნიშნით ძალადობის არაერთი სხვა საქმისგან განსხვავებით (მაგალითისთვის, იხ. *ოპუზი*, § 136, და *ტალპისი*, § 114), სახეზე არ არის ოჯახში ძალადობის საჩივარზე რეაგირებისას ეროვნული ორგანოების მხრიდან დაგვიანება ან უმოქმედობა. ამის საწინააღმდეგოდ: როგორც 2010, ისე 2012 წელს განმცხადებლის საჩივარზე სახელმწიფო ორგანოებმა რეაგირება მოახდინეს დაუყოვნებლივ, შეაგროვეს მტკიცებულებები და გამოიყენეს შემაკავებელი და დამცავი ორდერები. ამ კონტექსტში, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციას ჰქონდა კონკრეტული რისკ-ფაქტორების ჩამონათვალი (check-list),

რომელიც მხედველობაში უნდა მიეღოს „პოლიციის შესახებ“ კანონის 38-ე(ა) მუხლის შესაბამისად ჩარევის შემთხვევაში

192. განმცხადებელმა თავის პოზიციაში დაადასტურა, რომ ის ასაჩივრებდა არა შესაბამისი ორგანოების მხრიდან დროის გაწელვას ან უმოქმედობას, არამედ მათ მიერ არჩევანის გაკეთებას განხორციელებულ ღონისძიებებზე. შესაბამისად, დიდი პალატა იზიარებს პალატის მიერ გაკეთებულ შეფასებებს ამ საკითხთან დაკავშირებით (იხ. პალატის გადაწყვეტილების 67-ე პარაგრაფი).

193. გარდა ამისა, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივრის წარდგენის შემდეგ, პოლიცია განმცხადებელს თან ახლდა საერთო საცხოვრებელ სახლში დაბრუნებისას, რათა ის მარტო არ შეხვედროდა მეუღლეს, რომლის წინააღმდეგაც წარუდგინა საჩივარი პოლიციას. სამართალდამცავებმა ბროშურის საშუალებით მას ინფორმაცია მიაწოდეს ე.-სგან თავის დაცვასთან დაკავშირებული სხვა ხელმისაწვდომი საშუალებების შესახებ, კერძოდ, დროებითი შემაკავებელი ორდერის გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე, აღსრულების შესახებ კანონის 382(ბ)-ე და 382(ე)-ე მუხლების შესაბამისად. ამის შემდეგ, პოლიციის ოფიცრებმა განმცხადებლის მეუღლე წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვისთვის და მას ჩამოართვეს საერთო სახლის გასაღები. დამატებით, ევროპული სასამართლო მიესალმება იმ ფაქტს, რომ პოლიციის ერთ-ერთი ის ოფიცერი, რომელმაც რეაგირება მოახდინა მომჩივანის განაცხადზე იყო გადამზადებული და ჰქონდა ოჯახში ძალადობის საქმეებზე მუშაობის გამოცდილება

(ბ) რისკის შეფასების პროცესის ხარისხი

195. შემდეგ, ევროპული სასამართლო შეამოწმებს სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებული რისკის შეფასების პროცესის ხარისხის (იხ. პარაგრაფი 168). ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ მან საქმის ფაქტობრივი გარემოებები მხედველობაში უნდა მიიღოს მკაცრად იმ ფორმით, როგორაც ისინი ცნობილი იყო სახელმწიფო ორგანოებისთვის შესაბამის დროს და არა *post factum* პერსპექტივით (იხ. *ბუბინსი*, § 147).

196. პირველ ყოვლისა, ევროპული სასამართლო გამოხატავს კმაყოფილებას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფოს მიერ ჩატარებული რისკის შეფასება იყო ავტონომიური და პროაქტიული, რამდენადაც პოლიცია დაეყრდნო არამხოლოდ ფაქტების განმცხადებლისეულ ხედვას - რომელსაც კონსულტაციას უწევდა ძალადობისგან დაცვის ცენტრის წარმომადგენელი, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მრჩეველი ექსპერტი - არამედ შეფასება დაამყარა არაერთ სხვა ფაქტორსა და მოპოვებულ ნივთიერ მტკიცებულებებზე. უშუალოდ განმცხადებლის მიერ პოლიციისთვის მიმართვის დღეს, პოლიციამ გამოკითხა ინციდენტში პირდაპირ ჩართული ყველა პირი - კერძოდ, განმცხადებელი, მისი მეუღლე და მათი შვილები - და შეადგინა დეტალური ოქმები. მათ ასევე შეაგროვეს მტკიცებულებები განმცხადებლისთვის მიყენებული ხილული დაზიანებებისთვის ფოტოსურათების გადაღების გზით. მომჩივანმა ასევე გაიარა სამედიცინო შემოწმება.

197. პოლიციამ ასევე ჩაატარა ე.-ს წინააღმდეგ წარსულში გამოცემული შემაკავებელი და დამცავი, ასევე, დროებითი ამკრძალავი ორდერების დისტანციური მოკვლევა. მათ ჰქონდათ

ინფორმაცია, რომ ე. წარსულში ბრალდებული იყო ოჯახში ძალადობის და საფრთხის შემცველი ქცევის გამო და რომ მის წინააღმდეგ, ორი წლით ადრე, გამოცემული იყო ამკრძალავი და დამცავი ორდერები. გარდა ამისა, პოლიციამ გადაამოწმა, ჰქონდა თუ არა აღნიშნულ პირს რეგისტრირებული იარაღი. ამ პროცედურის შედეგი უარყოფითი აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოებისთვის მნიშვნელოვანია, შემოწმდეს, აქვს თუ არა წვდომა, ან ფლობს თუ არა განსახილველი პირი ცეცხლსასროლ იარაღს (იხ. *კონტროვა*, § 52, ასევე, სტამბულის კონვენციის 51-ე მუხლი).

198. შემდეგში, ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ პოლიციის მიერ ჩატარებული რისკის შეფასების პროცედურამ მოიცვა მოცემულ კონტექსტში არსებული ყველა ცნობილი, ძირითადი რისკ-ფაქტორი, როგორც ეს ირკვევა მათ მიერ შედგენილი ანგარიშიდან (ოქმიდან). უფრო კონკრეტულად, მათ მხედველობაში მიიღეს გარემოებები, რომლებიც მიუთითებდა, რომ გაუპატიურების შესახებ წარმოდგენილ იქნა საჩივარი, განმცხადებელს აღნიშნებოდა ძალადობის ხილული კვალი სისხლჩაქცევების სახით, რომ ის ტიროდა და ძალიან შეშინებული იყო, რომ ის არაერთი მუქარის ობიექტი იყო, ბავშვების მიმართ კი ასევე ხორციელდებოდა ძალადობა. პოლიციამ ასევე ცალსახად აღნიშნა არაერთი სხვა რელევანტური რისკ-ფაქტორი, კერძოდ, ძალადობის წინა აქტები, რომელთა შესახებაც განმცხადებელს წარმოდგენილი ჰქონდა ან არ ჰქონდა საჩივარი, ესკალაცია, მიმდინარე სტრესული ასპექტები, როგორიცაა უმუშევრობა, განქორწინება ან/და დაშორება და ე.-ს ძლიერი მიდრეკილება ძალადობის ტრივიალიზებისკენ. პოლიციამ მხედველობაში მიიღო ე.-ს ქცევა, კერძოდ ის ფაქტი, რომ ე. ოდნავ აღელვებული იყო, თუმცა პოლიციასთან თანამშრომლობდა და ნებაყოფლობით გაჰყვა ოფიცრებს პოლიციის განყოფილებაში. პოლიციამ ასევე აღნიშნა, რომ ე.-ს სახელზე არ ფიქსირდებოდა რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი.

199. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული კონკრეტული ფაქტორების იდენტიფიცირების გზით წარმოჩნდა, რომ მოცემულ საქმეში რისკის შეფასებისას სახელმწიფო ორგანოებმა სათანადოდ მიიღეს მხედველობაში ოჯახში ძალადობის კონტექსტი.

200. რაც შეეხება ე.-ს მხრიდან მუქარას, კონკრეტულად კი - სიცოცხლის მოსპობის შესახებ მუქარას, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ თითოეული მუქარა განმცხადებლის მიმართ იყო გამოთქმული და ეხებოდა პირდაპირ თუ ირიბად განმცხადებლის, მისი უახლოესი ადამიანების ან თავად ე.-ს დაშავებას ან სიკვდილს. ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ მოცემულ კონტექსტში (სასიკვდილო) მუქარა სერიოზულად უნდა იქნას აღქმული და შემოწმდეს მისი დამაჯერებლობა (იხ. *კონტროვა*, § 52, ციტირებულია; *ბრანკო ტომაშიჩი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ*, no. 46598/06, §§ 52 და 58, 15 იანვარი 2009; *ოპუზი*, § 141; *ერემია*, § 60; *ტალპისი*, § 111; და *ჰალიმე კილიჩ*, §§ 93-94, თითოეული ციტირებულია). სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიციას მხედველობიდან არ გამორჩენია ის ფაქტი, რომ ე. მოკვლით ემუქრებოდა განმცხადებელს და სცადა მისი დახრჩობა, როგორც ეს

ირკვევა პროკურორისთვის იმავე დღის გვიან საღამოს გაგზავნილი ანგარიშიდან (ოქმიდან), სადაც ამ ფაქტორების შესახებ ცალსახად იყო მითითებული.

201. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მომავალი ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მორიგე პროკურორს ხელთ ჰქონდა საქმისთვის ყველაზე რელევანტური ფაქტები. იმავე დღეს მას სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით მიაწოდეს ინფორმაცია ე.-ს წინააღმდეგ არსებული საჩივრის და შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ, მათი გამოცემისთანავე. საქმის მასალებში პროკურორმა შეაჯამა საქმის ძირითადი ელემენტები და მოითხოვა დამატებითი საგამომიებო ღონისძიებების ჩატარება (ბავშვების გამოკითხვა, ოქმების გამოძიებისთვის წარდგენა) და დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ე.-ს წინააღმდეგ. იმავე საღამოს, მორიგე პროკურორმა მიიღო ყველა მოთხოვნილი ოქმი.

202. შესაბამისად, ევროპული სასამართლო დადებითად აფასებს სახელმწიფო ორგანოების მიერ განმცხადებლის საქმეზე ჩატარებულ რისკის შეფასების პროცედურას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო სტანდარტიზებული, მაინც აკმაყოფილებდა ავტონომიური, პროაქტიული და ამომწურავი შეფასების მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, შემაკავებელი და ამკრძალავი ორდერების გამოცემის მიუხედავად, არსებობდა თუ არა განმცხადებლის შვილის სიცოცხლის მიმართ განჭვრეტადი, რეალური და უშუალო საფრთხე.

(გ) ჰქონდათ ან უნდა ჰქონოდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს ინფორმაცია განმცხადებლის შვილის სიცოცხლის მიმართ რეალური და უშუალო საფრთხის არსებობის შესახებ

203. ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ როგორც სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებული რისკის შეფასების პროცედურიდან ირკვევა, რელევანტურ დროს მათთვის ხელმისაწვდომი იყო შემდეგი ინფორმაცია:

(i) ე.-ს ნასამართლობის ისტორიასა და პოლიციის მიერ მსხვერპლთა გამოკითხვაზე დაყრდნობით, სახელმწიფო ორგანოებს ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ე. მსჯავრდებული იყო განმცხადებლის ჯანმრთელობის დაზიანებისთვის 2010 წელს, რის გამოც მას ჯერ კიდევ გამოსაცდელი ვადა ჰქონდა დადგენილი. ტრაგიკულ მოვლენამდე პოლიციის მიერ გამოკითხვისას განმცხადებელმა მიუთითა ქორწინების განმავლობაში მეუღლის მხრიდან ძალადობის სხვა შემთხვევებზეც, მათ შორის 2012 წლის 19 მაისს. 2010 წლის ინციდენტის შემდეგ განმცხადებელი რეგულარულად იღებდა კონსულტაციას ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ცენტრის მრჩეველისგან.

(ii) განმცხადებლის ორივე შვილი მამისგან ძალადობას განიცდიდა - ფიზიკურ ძალადობას სილის გაწვნით, ფსიქოლოგიურ ძალადობას კი დედის დამცირების ხილვით - თუმცა არცერთი მათგანი არ ყოფილა ე.-ს ძალადობის მთავარი სამიზნე.

(iii) განმცხადებლის მიერ პოლიციასთან გაკეთებული განცხადებების თანახმად, ძალადობის ესკალაცია დაიწყო სამი დღით ადრე, როდესაც მეუღლემ მისი დახრჩობა სცადა და გააუპატიურა.

(iv) მომჩივანმა განაცხადა, რომ ესკალაციის მიზეზი იყო მისი განზრახვა, გაშორებოდა მეუღლეს.

(v) მომჩივანმა განაცხადა, რომ მისი მეუღლე აზარტულ თამაშებზე იყო დამოკიდებული და ჰქონდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა პრობლემებიც, რომლებიც, განმცხადებლის აზრით, ხელს უწყობდა ე.-ს აგრესიულობის და მის მიმართ ძალადობის გაუარესებას. უფრო კონკრეტულად, მეუღლე ბავშვებს სცემდა კაზინოდან დაბრუნების შემდეგ. განმცხადებლის მეუღლემ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაიარა რეაბილიტაციის კურსი აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულის და სხვა (დაუზუსტებელი) ფსიქიატრიული პრობლემების სამკურნალოდ, რომელიც, როგორც ჩანს, უშედეგო აღმოჩნდა.

(vi) პოლიციის მიერ განმცხადებლის გამოკითხვის ოქმის თანახმად, 2012 წლის მარტის შემდეგ მეუღლის მხრიდან მისი და შვილების მიმართ განხორციელებული სიცოცხლისათვის საშიში მუქარა განსაკუთრებით საშიში იყო. ასევე, განმცხადებელმა პოლიციას აცნობა, რომ ის აღნიშნულ მუქარას ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა.

(viii) განმცხადებელმა პოლიციასთან საუბრისას აღნიშნა, რომ მეუღლე პერიოდულად ართმევდა ხოლმე მობილურ ტელეფონს და კეტავდა მას სახლში, რათა გარეთ არ გასულიყო.

204. ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სახელმწიფო ორგანოებმა დაასკვნეს, რომ განმცხადებელი იდგა ახალი ძალადობის საფრთხის წინაშე და ამიტომ გამოსცეს დამცავი და შემაკავებელი ორდერები ე.-ს წინააღმდეგ, პოლიციის შესახებ კანონის 38ა-ე მუხლის საფუძველზე. ევროპული სასამართლო ამ კონტექსტში აღნიშნავს, რომ ასეთი შეფასების გაკეთებისას საქმეში ჩართულნი იყვნენ მნიშვნელოვანი რელევანტური გამოცდილების მქონე და გადამზადებული პოლიციის ოფიცრები. შესაბამისად, მათ მიერ გაკეთებულ შეფასებაზე მსჯელობისას ევროპულმა სასამართლომ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა ზედაპირული მიდგომით ეჭვქვეშ არ დააყენოს ის, *post factum* შეფასების უპირატესობის ქონის საფუძველზე.

205. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული საფრთხის შეფასება უშუალოდ ბავშვებთან მიმართებით არ ჩატარებულა, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ რელევანტურ დროს ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ეს მდგომარეობას არ შეცვლიდა ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო.

206. ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ განმცხადებლის შვილები მამის მხრიდან განიცდიდნენ ძალადობას ხელის დარტყმის და დედაზე ძალადობის ფაქტების ნახვის კუთხით, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეფასდეს ზედაპირულად. თუმცა, მოცემულ საქმეზე სახელმწიფო ორგანოების ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვები არ იყვნენ ე.-ს ძალადობის და მუქარის მთავარი სამიზნე. ამ უკანასკნელს წარმოადგენდა თავად განმცხადებელი, პირდაპირ თუ ირიბად (იხ. პარაგრაფი 200). განმცხადებლის მიერ 2012 წლის 22 მაისს წარმოდგენილი საჩივრის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენდა წინა კვირას

მეუღლის მიერ მისი დახრჩობის მცდელობასა და გაუპატიურებასთან დაკავშირებული ბრალდებები, ოჯახში განგრძობადი ძალადობა და მის მიმართ განხორციელებული მუქარა. გარდა ამისა, ევროპული სასამართლო იზიარებს მოპასუხე სახელმწიფოს მსჯელობას შემდეგ საკითხზე: მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის ანგარიში შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის შესახებ ბავშვებს ცალსახად არ ასახელებდა საფრთხის წინაშე მყოფ პირებად, პოლიციის შესახებ კანონის 38ა-ე მუხლის შესაბამისად, გამოძიების შესახებ პროკურორისთვის იმავე დღის 11:20 საათზე გადაგზავნილი ანგარიში ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა ბავშვებზე, როგორც მოცემული დანაშაულის „მსხვერპლებზე“. ამასთან, მათი, როგორც მოწმეთა ჩვენებები დაერთო წარმოდგენილ ანგარიშს. სახელმწიფო ორგანოებს ლეგიტიმურად შეეძლოთ, ჩაეთვალიათ, რომ გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერი საფუძველზე, ოჯახურ სივრცეში ბავშვები დაცულნი იყვნენ პოტენციური ძალადობის არალეიტალური ფორმებისგან და მამის მხრიდან შევიწროებისგან იმავე ხარისხით, როგორც განმცხადებელი. არ არსებობდა რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბავშვებს საფრთხე ემუქრებოდათ სკოლაში, თუნდაც ეს საფრთხე სიცოცხლისთვის საშიში არ ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის გადამწყვეტი ფაქტორი, ასევე ჩანს, რომ არც თავად განმცხადებელი და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ცენტრის მრჩეველი მიიჩნევდნენ, რომ საფრთხის არსებული დონე საჭიროებდა მამასა და ბავშვებს შორის კონტაქტის სრულ აკრძალვას.

207. რაც შეეხება განმცხადებლის არგუმენტს იმის შესახებ, რომ მის მიმართ ჩადენილი ძალადობის სერიოზულობა და ე.-ს დამატებითი მუქარა, მათ შორის, სიცოცხლის მოსპობით დამუქრება, საკმარისი იყო იმისთვის, რომ ე. დაეკავებინათ, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის ეს მოთხოვნა ემყარება საფუძველების ერთობლიობას, კერძოდ, ე.-ს მიერ სავარაუდოდ ჩადენილ ახალ დანაშაულებს და მის წარსულზე დაყრდნობით, დანაშაულის ხელახლა ჩადენის რისკს. ე.-ს მუქარა სახელმწიფო ორგანოებმა არ მიიჩნია საკმარისად სერიოზულად ან სანდოდ იმისთვის, რომ სიცოცხლისთვის საშიში რისკის არსებობა დაედგინა, რაც გაამართლებდა ე.-ს დაკავებას ან სხვა, დამცავ და შემაკავებელ ორდერზე უფრო მკაცრი პრევენციული ღონისძიების გატარებას. ევროპული სასამართლო ვერ ხედავს სახელმწიფოს ამ შეფასების ეჭვქვეშ დაყენების მიზეზს, რამდენადაც რელევანტურ დროს შესაბამისი ორგანოების ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, არ იკვეთებოდა ალბათობა, რომ ე. ხელში ჩაიგდებდა ცეცხლსასროლ იარაღს, მივიდოდა ბავშვების სკოლაში და მოკლავდა საკუთარ შვილს, მოვლენათა ასეთი სწრაფი ესკალაციის პირობებში.

208. დაბოლოს, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა ყურადღება გაამახვილეს განმცხადებლის მეუღლის მშვიდ დამოკიდებულებაზე პოლიციის მიმართ. სასამართლოს აზრით, ასეთი დამოკიდებულება პოტენციურად მცდარ შეხედულებას ქმნის ოჯახში ძალადობის საქმეების კონტექსტში და ეს ფაქტორი არ უნდა იყო გადამწყვეტი ფაქტორი რისკის შეფასებისას. თუმცა, ევროპული სასამართლო არ ეთანხმება პოზიციას, რომ რისკის შეფასების ეს ელემენტი საკმარისია, რათა ეჭვი შევიტანოთ დასკვნის სისწორეში, რომლის თანახმადაც ბავშვების სიცოცხლის მიმართ საფრთხე იმ დროისთვის არ იკვეთებოდა. მსგავსად, რეტროსპექტიულად, სასურველი იქნებოდა, რომ ბავშვების სკოლისა და ბავშვთა დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოებისთვის მიეწოდებინათ დროული ინფორმაცია, თუმცა

მოვლენათა განვითარების იმ მომენტისთვის სახელმწიფოსთვის განჭვრეტადი არ იყო, რომ საჭირო გახდებოდა ასეთი ღონისძიებების გატარება ა-ს მიმართ სიცოცხლისთვის საშიში თავდასხმის თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, ამ ინფორმაციის არარსებობა - რამდენადაც მისი გაზიარება არ იყო საჭირო მოვლენათა განვითარების დროს მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით - ვერ ჩაითვლება სახელმწიფო ორგანოების პოზიტიური ვალდებულების კონტექსტში სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენის მოვალეობის დარღვევად, *ოსმანის* ტესტის მიხედვით.

209. ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო იზიარებს სახელმწიფოს პოზიციას იმის შესახებ, რომ რელევანტურ დროს სახელმწიფო ორგანოების ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, არ არსებობდა განმცხადებლის ვაჟის მიმართ ძალადობის განხორციელების რეალური და უშუალო საფრთხე, მითუმეტეს - სიცოცხლისთვის საშიში რისკი, იმ არეალს მიღმა, რომელთან დაკავშირებითაც გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი. უფლებამოსილი ორგანოების შეფასებამ გამოავლინა არალეტალური საფრთხის გარკვეული დონის არსებობა ბავშვების მიმართ, მათი მამის მიერ ჩადენილი ოჯახური ძალადობის კონტექსტში, რომლის უპირველესი სამიზნეც განმცხადებელი იყო. რისკის შეფასების შედეგების ჭრილში, ამ ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებები იყო ბავშვების მიმართ ახალი ძალადობის რისკის შესაკავებლად ადეკვატური. ბავშვების სიცოცხლისთვის საშიში თავდასხმის რეალური და უშუალო საფრთხე არ იკვეთებოდა ოჯახში ძალადობის კონტექსტში *ოსმანის* ტესტის გამოყენების შედეგად (იხ. პარაგრაფი 164). შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოებს არ ეკისრებოდა დამატებითი პრევენციული ღონისძიებების გატარების ვალდებულება კონკრეტულად განმცხადებლის შვილებთან მიმართებით, არც კერძო და არც საჯარო სივრცეში - მაგალითად ბავშვების სკოლის სიახლოვეს ყოფნის ამკრძალავი ორდერის გამოცემის ვალდებულება.

210. გარდა ამისა, ევროპული სასამართლო, მხედველობაში იღებს რა ეროვნული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის და ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს (იხ. პარაგრაფი 182), ვერ ხედავს მიზეზს, ეჭვქვეშ დააყენოს ავსტრიული სასამართლოების დასკვნა იმის შესახებ, რომ უფლებამოსილი ორგანოები კანონის შესაბამისად მოქმედებდნენ, როდესაც ე. არ დააკავეს. ამ კონტექსტში ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ მე-5 მუხლის თანახმად, თავისუფლების შეზღუდვა დაუშვებელია, თუკი ის არ შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას. ევროპული სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საჩივარი არ ეხება ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს დაკავების საფუძველების და მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ამ საკითხის განხილვა სცდება მოცემული საქმის ფარგლებს.

(დ) დასკვნა

211. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფო ორგანოებმა გამოიჩინა საჭირო განსაკუთრებული გულისხმიერება ოჯახში ძალადობის შესახებ განმცხადებლის საჩივარზე სწრაფი რეაგირებისას და მხედველობაში სათანადოდ მიიღო ოჯახში ძალადობის საქმის კონტექსტი. მათ ჩაატარეს საფრთხის შეფასების ავტონომიური, პროაქტიული და ამომწურავი პროცესი, რომლის შედეგებზე დაყრდნობითაც გამოიცა შემაკავებელი და დამცავი ორდერი. მიუხედავად ამისა, რისკის შეფასებამ არ გამოავლინა განმცხადებლის ვაჟის მიმართ რეალური და უშუალო, სიცოცხლისთვის საშიში საფრთხის არსებობა. შესაბამისად, არ ამოქმედებულა ამ მიმართულებით დამატებითი პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების ვალდებულება.

212. შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა არსებით ნაწილში.

213. ამ დასკვნაზე დაყრდნობით, ევროპული სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს, განიხილოს სახელმწიფოს პოზიცია ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით (იხ. *mutatis mutandis*, ბენიკ-ზალევსკი პოლონეთის წინააღმდეგ, no. 59857/00, § 98, 22 აპრილი 2008).

II. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა

214. განმცხადებელი დავობდა, რომ რამდენადაც სახელმწიფომ ის ვერ დაიცვა ოჯახში ძალადობისგან, სახეზეა დისკრიმინაცია მისი, როგორც ქალის მიმართ, რაც კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას წარმოადგენს. თუმცა, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს ასეთი მოთხოვნა ევროპული სასამართლოსთვის წარმოდგენილ თავდაპირველ საჩივარში არ დაუფიქსირებია (რომელიც 2015 წლის 16 დეკემბერს წარადგინა), პირველად კი მოთხოვნა დააყენა დიდი პალატის წინაშე 2020 წლის 10 იანვარს.

215. იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილება განმცხადებელს ჩაბარდა 2015 წლის 16 ივნისს, აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილია 6-თვიანი ვადის მოთხოვნის დარღვევით, რომელიც კონვენციის 35(1)-ე მუხლითაა გათვალისწინებული, და ამიტომ, დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი (იხ. *დენისოვი უკრაინის წინააღმდეგ* [GC], no. 76639/11, §§ 135-36, 25 სექტემბერი 2019).

ამ მიზეზებზე დაყრდნობით, ევროპული სასამართლო:

1. ერთხმად, დაუშვებლად ცნობს კონვენციის მე-14 მუხლთან დაკავშირებულ მოთხოვნას;

2. უმრავლესობით, არსებითი განხილვის ფარგლებში მსჯელობს სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ პოზიციაზე ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის შესახებ და საჭიროდ არ მიიჩნევს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას;
3. ათი ხმით შვიდის წინააღმდეგ არ ადგენს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.